



MES 1 21 0000030217



26/01/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 29.12.2020

სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 18:34სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული

სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა

საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;

8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ნიკოლოზ კვიციანი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. **ზურაბ ორჯონიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
15. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	თმთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	თორნიკე ბაქაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნაილა ჩელებაძე		პრორექტორი	I
2	ელზა ფუტყარაძე		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	I
3	გოგიტა მშვენიერაძე		ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე	I
4	თემურ ტუნაძე		ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	I

5	დედა ბარბარე	ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ	პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	ხათუნა ხალვაში	აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	მენტორი მასწავლებელი	I
7	რომან აბაშიძე		მენტორი მასწავლებელი	I
8	ნონა შუშანიძე		მენტორი მასწავლებელი	I
9	ზაზა რუხაძე		უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი	II
10	ქეთევან ჯინარაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
11	კონსტანტინე კულიჯანოვი	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	სკოლის დეკანი	II
12	ნინა კარბელაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	II
13	ბესო ტაბატაძე		პროფესორი	II
14	თამარ ტუფინაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
15	ქეთევან ნანობაშვილი	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი	III
16	გიორგი კაკაშვილი		ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი	III
17	კახა შენგელია		კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი	IV
18	ნუგზარ სხირტლაძე	შპს - კავკასიის უნივერსიტეტის	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	IV
19	დიანა მჭედლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	IV
20	ალუდა გოგლიჩიძე		განათლების სკოლის დეკანი	IV
21	მარიამ მანჯგალაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
22	შალვა ტაბატაძე		პროგრამის თანახელმძღვანელი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ეკატერინე გიგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გიორგი დათუკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ზურაბ ბოსიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	სოფიკო შარაბიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	მაქსიმ იავიჩი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	გიორგი მეშველიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	თინათინ კილურაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ხეთისო მამისიმედიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა წარმოდგენილი იქნა ცენტრის წარმომადგენლის ლალი ოდიშვილის მიერ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
2. ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის N 1123323 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

ცენტრის წარმომადგენელმა ლალი ოდიშვილმა შუამდგომლობა დააყენე სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის N 1123323 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას. კერძოდ, გადაწყვეტილებაში მითითებული რეკომენდაცია გაწერილი იყო შედეგი ფორმულირებით „დაზუსტეს სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობა დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციის პირთათვის, განისაზღვროს დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციის შეუსაბამობა პროგრამის შინაარსსა და გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, ასევე გასწორდეს ჩანაწერი მიღების წინაპირობაში „მედიცინის მიმართულების მაგისტრთან გათანაბრებული კვალიფიკაცია“. აღნიშნული რეკომენდაცია არ ეხება უნივერსიტეტში არსებულ სტომატოლოგიის ქართულენოვან სადოქტორო პროგრამას“.

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით დაწესებულებას არ აქვს სტომატოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, არამედ აქვთ მედიცინის ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა. აქედან გამომდინარე რეკომენდაცია უნდა გაიწეროს შემდეგი ფორმულირებით: "დაზუსტდეს სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობა დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციის პირთათვის განისაზღვროს დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციის შეუსაბამობა პროგრამის შინაარსსა და გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. ასევე, გასწორდეს ჩანაწერი მიღების წინაპირობაში „მედიცინის მიმართულების მაგისტრთან გათანაბრებული კვალიფიკაცია. აღნიშნული რეკომენდაცია არ ეხება უნივერსიტეტში არსებულ მედიცინის ქართულენოვან სადოქტორო პროგრამას და მასზე ჩარიცხულ სტუდენტებს."

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის N 1123323 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

მეორე საკითხი: ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	No 131 07.08.2015
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალი ტექტი (ხიჭაური) სასწავლო კორპუსი No 07 საქართველო 6300
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიხეილ გიორგაძემ მაღლობა გადაუხადა დაწესებულებას კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ყველა პირობა შექმნა იმ ინფორმაციის მიღებისთვის, რომელიც საჭირო იყო გარკვეული დასკვნების გამოსატანად. ექსპერტი შეეხო რეგიონში არსებული პროგრამის საჭიროების საფუძვლებს. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მოსაზრებით, რომ არა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული არსებული სერვისები: საცხოვრებელი ადგილი, კვებით უზრუნველყოფა, დაფინანსება, უნივერსიტეტთან არსებული სკოლა, რომელიც წარმოადგენს პრაქტიკის განხორციელების ბაზას, ისინი სხვა რეგიონში აღნიშნული პროგრამის დასრულებას ვერ შეძლებდნენ. აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა ინტერვიუების პროცესშიც. ზოგადი განათლების სფეროში ამჟამინდელი გამოწვევა, რომელიც ეხება მასწავლებლების დეფიციტს სხვადასხვა მიმართულებით, სწორედ ამიტომ არის აქტუალური მაღალმთიან რეგიონში ასეთი მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეიმუშავებულ იქნა რეკომენდაციები, რომელიც კლასიფიცირებულია რამდენიმე მიმართულებით.

პროგრამის სწავლის შედეგების დარგობრივ მახასიათებლის შესაბამისობასთან დაკავშირებით, გაჩნდა შეკითხვები, რომლებიც საბოლოო ჯამში ჩამოაყალიბეს რეკომენდაციებად. გარკვეული დარგობრივი მახასიათებლით არის გარკვეული სწავლის შედეგები განსაზღვრული, რომელიც არ არის ასახული პროგრამის სწავლის შედეგებში, შესაბამის სილაბუსებში და მიაჩნიათ, რომ პროგრამა ამ სწავლის შედეგების მიღწევას ვერ უზრუნველყოფს.

ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი უკავშირდება პროგრამის სპეციფიკას, მაგალითისთვის ფსიქოლოგიის მიმართულებით არსებული კურსები მიაჩნიათ, რომ უნდა იყოს ფოკუსირებული მოზარდის განვითარების თავისებურებაზე და სწავლის ფსიქოლოგიაზე და არა ზოგადად განვითარების ფსიქოლოგიაზე.

აღნიშნული პროგრამა არის რეგულირებადი, ამიტომ რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი უკავშირდება პროგრამის გარკვეული რეკვიზიტების შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მაგალითისთვის პროგრამაში არ არის ინფორმაცია რა სახის დოკუმენტი გაიცემა პროგრამის დასრულების შემდეგ და რა სახის ჩანაწერი იქნება პროგრამის დასრულების შემდგომ დოკუმენტში, რომელიც განსაზღვრავს სერტიფიკატის გაცემის წესს. ექსპერტმა განმარტება გააკეთა პროგრამის ფორმაზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილია 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რომელიც მოიცავს რამდენიმე მიმართულებას და პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ექვსი მიმართულებით კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ანუ სერტიფიკატი, რაც ეწინააღმდეგება აკრედიტაციის დებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, მადლობა გადაუხადა აკრედიტაციის პროცესის განხორციელებაში ჩართულ პერსონალ გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმეტესობა ნაწილობრივ გაიზიარეს, ხოლო რეკომენდაციების ნაწილი კი სრულად იქნა გაზიარებული დაწესებულების მიერ. დაწესებულების წარმომადგენლის, დედა ბარბარეს განმარტებით, საკმარისი დროის არსებობიდან გამომდინარე მათ რეკომენდაციების ნაწილის შესრულებაც კი შეძლეს. ისინი არ დაეთანხმნენ მხოლოდ ერთ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა ექვსი პროგრამის წარდგენას. მათი თქმით არდათანხმების საფუძველი გახდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის #65 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებაში 2020 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილები, რომლის მიხედვითაც მე-20 მხულის I-1 და I-3 პუნქტის საფუძველზე ერთი სააკრედიტაციო განაცხადი შეიძლება ითვალისწინებდეს დარგობრივი მახასიათებელით დადგენილი სასწავლო საგნების რამდენიმე მეთოდის მოდულების სწავლებას. მისი განცხადებით პროგრამაში წარმოდგენილი ექვსი საგნობრივი მეთოდის მოდული სრულ შესაბამისობაშია დარგობრივი მახასიათებელით (ანუ ეროვნული სასწავლო გეგმით) განსაზღვრულ სასწავლო საგნის/საგანთა ჯგუფთან, რის საფუძველზე პროგრამა ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რეკომენდაცია პროგრამის მიზნის მოკლედ და კონკრეტულად ფორმირების შესახებ, გაიზიარეს და შეასრულეს.

რეკომენდაცია, პროგრამის შემუშავების, განხორციელების ეტაპებზე დაინტერესებულ პირთა ჩართულობა დასტურდებოდა დოკუმენტური მტკიცებულებების შესახებ, ნაწილობრივ გაიზიარეს. მათ აღნიშნეს, რომ აწარმოებდნენ შეხვედრების ოქმებს, ამჯერად შემუშავებული აქვთ წერილობითი შეფასების ფორმები და საჭიროების შემთხვევაში ისინი აუცილებლად გააკეთებენ ვიდეო ჩანაწერს.

რეკომენდაცია, პროგრამასთან დაკავშირებული კვლევების განხორციელების შესახებ გაიზიარეს და მისი სრულყოფისთვის შემუშავებულია შესაბამისი ფორმები, მეთოდების მონაცემთა შეგროვებისა და შედეგების გამოყენებისთვის მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაციები სწავლის შედეგების რუკის გამარტივებასთან, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან და დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ ნაწილობრივ გაიზიარეს.

პროგრამის სწავლის შედეგების მახასიათებლები დაინომრა, რამაც გაამარტივა პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსთან დაკავშირებული რუკის აღქმა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია:

ა) პროგრამის სწავლის შედეგსა და სასწავლო კურსებს შორის, კერძოდ: ყველა სასწავლო კურსების სილაბუსის სწავლის შედეგში მითითებულია რომელი თემა, რომელი შედეგის მიღწევას ემსახურება, რუკაზე მითითებულია რამდენი სასწავლო კურსი ეხმარება სტუდენტს, რომ გავიდეს შედეგზე,

ბ) სწავლის შედეგების მიღწევის დემონსტრირება ხდება სტუდენტის მიერ სხვადასხვა აქტივობების (სემინარი, ჩანაწერის გაკეთება წარდგენა, პრეზენტაციები, ვიდეო-რგოლი, ელექტრონული რესურსების შექმნა, ვიზიტი და ა.შ) კვლევითი (სამაგიდე, მზარდი, დაკვირვება და ა.შ) სამუშაოების შესრულებით.

გ) სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შეფასება დადგენილია ორი ფორმით: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმსაზღვრელი შეფასების (მიმდინარე, შუალედური, გამოცდა) ფორმები და მეთოდები, კრიტერიუმებითა და ქულებით სასწავლო კურსის სილაბუსს

თან ერთვის დანართის სახით, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს იცოდეს რა შედეგი რით შეუფასდება. სილაბუსში მკაფიოს არ იყო განმარტებული, რომ დანართში მოცემული კრიტერიუმები მხოლოდ განმსაზღვრელ შეფასებას ექვემდებარება, რაც გასწორდა.

დ) სწავლის შედეგების მიღწეული დონის შეფასების მექანიზმი პროგრამაში წარმოდგენილია პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებების ჩამონათვლით. არ იყო განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, რაც გასწორდა და განისაზღვრა.

ე) სწავლის შედეგი დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაშია. განსხვავება დაწესებულების მოსაზრებით, არის მხოლოდ შედეგი: დარგობრივ მახასიათებლებში, რომელიც მიღებულია 2018 წელს, გამოყენებულია ტერმინი „ზოგადი კომპეტენციები“, კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში 2019 წელს გამოყენებულია ტერმინი „განზოგადებული სწავლის შედეგი“ ასეთივე ტერმინია დასკვნაშიც, რამდენადაც დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა განეკუთვნება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მეექვსე დონეს. პროგრამის პირველი სწავლის შედეგი ჩამოყალიბდა ტერმინით ”განზოგადებული სწავლის შედეგები”, რომელშიც მთლიანად გადმოტანილია კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მახასიათებლები, რომლებიც შინაარსობრივად თანხვედრაშია დარგობრივი მახასიათებლის ზოგად კომპეტენციებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 10 სასწავლო კურსი ეხმარება სტუდენტს, რომ გავიდეს განზოგადებულ სწავლის შედეგზე.

რეკომენდაცია, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის შედეგის მიღწევასთან დაკავშირებით დაწესებულებამ ნაწილობრივ გაიზიარა.

პროფესიულ განვითარების ზრუნვას ემსახურება სასწავლო კურსი „თანამედროვე გამოწვევები მასწავლებლის განათლებაში“. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით განათლებაში გულისხმობენ “სწავლას სიცოცხლის განმავლობაში“.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ გააძლიერეს პროფესიული განვითარების თემატიკა ახალი საკითხებით. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მიღწეული დონის შესაფასებლად გამოყენებულია მტკიცებულებები. სტუდენტთა მიერ შესრულებული ესეები, თემაზე: „რა შემატა სასწავლო კურსმა ჩემს პროფესიულ დახელოვნებას“. თვითფექტიანობის ანალიზი, პროგრამის შედეგიანობის მიღწევის ხედვა: „რას მივალწიე კარგად, შესანიშნავად, ვსაჭიროებ გაუმჯობესებას“. ანაგარიში: „რა შედეგს მივალწიე, რა პერსპექტივას ვგეგმავ“. ასევე განმარტა, რომ ინტერვიუს პროცესში მონაწილე კურსდამთავრებულებთან, ორმა წარმატებით გაიარა გარე დაკვირვება.

რეკომენდაცია, პროგრამის სწავლის შედეგებში მოსწავლეთა შეფასების საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებამ ნაწილობრივ გაიზიარა. სწავლის შედეგი: „სასწავლო პროცესის შეფასება“ მთლიანად გადმოიტანეს დარგობრივი მახასიათებლიდან, რომელიც შინაარსობრივად მოიცავს მოსწავლეთა შეფასებას. შეიტანეს ცვლილება და ჩაამატეს „სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შეფასება“, ამასთან გააძლიერეს მოსწავლეთა შეფასების თემატიკა სასწავლო კურსი #2 თემა 8, #6 თემა 14, #13 თემა 10.

რაც შეეხება რეკომენდაციას, განათლების მეცნიერებებში დაგროვილი ტენდენციებსა და კვლევების შესახებ ცოდნის შეძენის შესაძლებლობების შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დარგობრივი მახასიათებელი არ ითვალისწინებს ამ მიმართულების კომპონენტს, მაგრამ რეკომენდაცია გაიზიარეს და გააძლიერეს თემატიკა სასწავლო კურსებში. დაამატეს ახალი სასწავლო კურსი „პირადი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა“, რადგან ეს აქტივობა სავარაუდოდ ახალი სქემის მიხედვით დარჩება წამყვანი და მენტორი მასწავლებლის აუცილებელ საქმიანობად. ასევე პერსპექტიული იქნება უფროსი მასწავლებლისთვის.

რეკომენდაცია, სასწავლო კურსთან „პირობების განვითარების თეორიები“ დაწესებულებამ სრულად გაიზიარა და მათი განმარტებით ცვლილებები უკვე განხორციელებულია.

რეკომენდაცია, პედაგოგიური პრაქტიკის თეორიული ეტაპის დეტალური აღწერის შესახებ, დაწესებულებამ ნაწილობრივ გაიზიარა. პირველ პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსში თითოეული საქმიანობა აღწერილი იყო დეტალურად. მეორე პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსში შეიტანეს რეკომენდაციის შეაბამისი ცვლილება.

რეკომენდაციები კვლევის შედეგებში სტუდენტთა ნებაყოფლობითი ჩართვის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით გათვალისწინებულია.

მესამე სტანდარტის შესახებ დასკვნის ტექსტში ჭარბობს შეფასება მეტწილად შესაბამისობაშია, საბოლოო ჭრილში კი მინიშნებულია ნაწილობრივ შესაბამისობაშია, აქვე აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომ სწავლების მეთოდოლოგიის, ორგანიზებისა და პროგრამის ათვისების ხარისხს განაპირობებს აკადემიური პერსონალი, მიმართულების მეთოდურ მოდულებს ასწავლიან განათლების დოქტორები, პროფესორები, რომელთაგან იმავდროულად ოთხი არის მენტორი მასწავლებელი, ორი უფროსი მასწავლებელი და ელოდებიან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვება. ძირითად საბაზო სკოლაში, სადაც გადიან პრაქტიკას სტუდენტები და რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ეზოში, 14 წამყვანი მასწავლებელია ყველა საგნობრივ მიმართულებაში და ერთი მენტორი მასწავლებელი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პროგრამა ღია არის ცვლილებებისთვის. მაგალითად დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით სასწავლო კურსი „ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდიკა“ ჩანაცვლდა სასწავლო კურსით „ელექტრონული ინსტრუმენტები“, რომლის ძირითად რესურსებს წარმოადგენს ასოცირებული პროფესორი, მენტორი მასწავლებლის მიერ სექტემბერში გამოცემული მეთოდური წიგნი „ციფრულ ინსტრუმენტები სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის“. სასწავლო კურსმა პირველ სემესტრში გაიარა აპრობაცია და ჩატარებული კვლევითი გასაუბრების შედეგად მოიპოვა სტუდენტთა მხარდაჭერა.

მათი განმარტებით ყველა რჩევა გათვალისწინებულია, შემუშავდა სათანადო ღონიძიებები და მიმდინარეობს მათი განხორციელება. საუბრის დასასრულს აღნიშნეს, რომ ძირითადი საკითხავი ლიტერატურა სასწავლო კურსების მიხედვით გადაჯგუფდა და ელექტრონულად მიეწოდება სტუდენტებს.

რაც შეეხება სერთიფიკატის გაცემას, წარმოადგინეს როგორი სახის სერთიფიკატი გაიცემა კურდამთავრებულთა მიმართ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა მეორე სტანდარტის შეფასებაზე, დასკვნის პროექტში, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა მითითებული იყო, რომ დასკვნაში საბოლოო შეფასებები აღნიშნული იყო, როგორც სრული ისე მეტწილი შესაბამისობა. დასკვნის ბოლოს მეორე სტანდარტი შეფასებულ იქნა, როგორც „ნაწილობრივი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ და აღნიშნულთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რადგან მეორე სტანდარტის ქვესტანდარტები შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულის მიუხედავად 2.2 2.3 2.4 ქვესტანდარტებთან არსებული რეკომენდაციები გათვალისწინებული და შესრულებულია.

ექსპერტმა მიხეილ გიორგაძემ განმარტა, რომ საბოლოო დასკვნაში მითითებულია არა „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, არამედ „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ განმარტება გააკეთა მეორე სტანდარტის შეფასებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და ამასთანავე დაწესებულების წარმომადგენლებს მიუთითა, რომ ყურადღება გაემახვილებინათ პირველ სტანდარტთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ სტანდარტთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოცემული პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა რამდენიმე თვის წინ. ამ ყველაფრის შემდგომ ექსპერტებმა და დაწესებულებამ ცენტრთან გაიარეს კონსულტაცია აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით, რითაც ერთ პროგრამას შეიძლება ჰქონოდა რამდენიმე კვალფიიკაციის მინიჭების შესაძლებლობა. შესაბამისი ცვლილება დებულებაში შევიდა 2020

წლის დეკემბერში. შევიდა ცვლილება, როგორც დებულებაში ისე საკავალიფიკაციო ჩარჩოში. დაწესებულებამ წარმოადგინა ცენტრის წერილი, რომლის მიხედვითაც "მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე სააკრედიტაციო განცხადის წარმოდგენისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში გაითვალისწინოს შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საგნის მეთოდის მოდულის/მოდულების სწავლებლის შესაძლებლობა". დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ამ მიზეზით იქნა გადადებული აკრედიტაციის სხდომა, რადგან ექსპერტების ვიზიტისას გაჩნდა ეს შეკითხვა და ელოდნენ აღნიშულ ცვლილებას.

ცენტრის დირექტორის მოადგილეს ლაშა მაგრგიშვილს საბჭოს წევრებმა, მიმართეს შეკითხვით დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით ხომ არ განხორციელებულა ცვლილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ლაშა მაგრგიშვილის განმარტებით, მასწავლებლის მომზადების დარგობრივი მახასიათებელი დამტკიცდა 2018 წელს, აღნიშნულ პერიოდამდე 60 კრედიტიანი პროგრამების უმრავლესობამ გაიარა აკრედიტაცია ძველი მახასიათებლების მიხედვით. განახლებული დარგობრივი მახასიათებლით მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდა მხოლოდ ერთი პედაგოგიური მოდულის გათვალისწინება. როგორც მოგეხსენებათ, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შედგება ძირითადად სამი ნაწილისგან: ზოგადი პედაგოგიური მოდული; დარგობრივი მეთოდის მოდული; სასკოლო პრაქტიკა. შესაბამისად, არამიზნობრივი და არარელევანტური გამოდიოდა დარგობრივი მეთოდისთვის განკუთვნილი 10-15 კრედიტისთვის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს რეაკრედიტაციის მიზნებისთვის ხელოვნურად დაეშალათ არსებული პროგრამები და ცალ-ცალკე წარმოედგინათ. შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმომუწევდათ გარკვეული ცალ-ცალკე სააკრედიტაციო საფასურის გადახდა ამ პროგრამებზე.

აქედან გამომდინარე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, განათლების დარგობრივმა საბჭომ ცენტრის შუამდგომლობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ დარგობრივი მახასიათებელი ყოფილიყო მეტად მოქნილი და ერთი პროგრამის ფარგლებში შესაძლებლობა მისცემოდათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ესწავლებინათ რვა საგნის პედაგოგიური მეთოდის მოდული. შესაბამისად, ცენტრის დირექტორის ბრძანებით 2020 წლის 25 დეკემბერს დარგობრივ მახასიათებელში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. რაც შეეხება აკრედიტაციის დებულებას, დებულებაში ამ ეტაპზე არ შეიტანეს ცვლილებები იმ მიზეზით, რომ აღნიშნული პროგრამა კვალიფიკაციას არ ანიჭებს, ის მხოლოდ ანიჭებს მასწავლებლობის უფლებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:41

დასრულების დრო: 17:03

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, პირველი სტანდარტის შეფასება „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; მეორე სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; მეხუთე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.“

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 2 წლიანი პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -14

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

ა) რეკომენდებულია, პროგრამის შემუშავების, განხორციელების ეტაპებზე დაინტერესებულ პირთა ჩართულობა დასტურდებოდეს დოკუმენტური მტკიცებულებებით (შეხვედრის ოქმები, წერილობითი შეფასებები, დასკვნები და ა.შ.);

ბ) დაწესებულებამ, რეგიონში მოქმედ მასწავლებელთა დეფიციტის კვლევა წარმოადგინა, თუმცა ის ასახავს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების ასაკობრივ განაწილებას სკოლებში და ამ მიმართულებით სამომავლო პერსექტივებს. წარმოდგენილი კვლევა არ ეხმიანება საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებას.

გ)სწავლის შედეგების იდენტიფიცირებისთვის ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოდგენილია განზოგადებულად და ყველა საფეხურისთვის უნივერსალურ მიგნებებს ასახავს. კვლევის შედეგად შეგროვებული მონაცემები და შესაბამისი დასკვნები არ იძლევა საბაზო / საშუალო საფეხურზე სწავლების სპეციფიური საკითხების იდენტიფიცირების შესაძლებლობას ასაკობრივი თავისებურებებისა და შესაბამისი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია პროგრამის მიზნები ეყრდნობოდეს შესაბამისი საგნის, საფეხურის სპეციფიურ საკითხებზე ფოკუსირებული კვლევის სიღმისეულ ანალიზს.

დ)აკრედიტაციის დებულების მე-20 მუხლის 11 პუნქტის თანახმად, ერთი სააკრედიტაციო განაცხადი უნდა ითვალისწინებდეს ერთ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც სწავლის შედეგების მიხედვით გადის მხოლოდ ერთ კვალიფიკაციაზე. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი შესაბამისი მიმართულების კურსდამთავრებულებზე გასცემს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს - მასწავლებლის მომზადების სერთიფიკატს 6 საგნობრივი მიმართულებით. აკრედიტაციის მიზნებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, წარმოდგენილი პროგრამის 6 მიმართულება უნივერსიტეტმა სააკრედიტაციოდ წარმოადგინოს 6 დამოუკიდებელ პროგრამად.

ე) რეკომენდებულია, გამარტივდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკის აღქმა რათა დაინტერესებულმა პირმა მარტივად შეძლოს პროგრამის სწავლის შედეგთან სასწავლო კურსის სწავლის შედეგის დაკავშირება.

ვ)რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. რეკომენდებულია, ასევე პროგრამას თან ახლდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რაც პროგრამის განმახორციელებლებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების შესაძლებლობას მისცემს;

ზ)რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან, კერძოდ:

- პროგრამის სწავლის შედეგების, ერთი მხრივ, მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლთან და მეორე მხრივ, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენისა და მოცემული სწავლის შედეგების შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია კონკრეტულად განისაზღვროს ის განზოგადებადი / გამჭოლი კომპეტენციები, რომელიც განუვითარდებათ სტუდენტებს პროგრამაზე სწავლის პერიოდში;
- პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგია პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში არ არის გათვალისწინებული ისეთი თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეძლებდა აღნიშნული კომპეტენციის განვითარებას. შესაბამისად, პროგრამაში არ არის გათვალისწინებული შეფასების ისეთი კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც შეფასდება აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის დონე და დადარდება სამიზნე ნიშნულს.
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატოს მოსწავლეთა შეფასების საკითხები. აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის სასწავლო კრუსებში. განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.
- პროგრამის სწავლის შედეგები არ ითვალისწინებს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებისა და კვლევების შესახებ ცოდნის შექმნის შესაძლებლობას. პროგრამას უნდა დაემატოს კურსი/თემატიკა, რომლის მიზანი იქნება განათლების მეცნიერებებში კვლევის უახლესი ტენდენციების განხილვა და კრიტიკული ანალიზი;

თ) რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს სერტიფიკატის გაცემის წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამის ინფორმაციას. კერძოდ, რა ტიპის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კრედიტების რაოდენობა, ასევე მიმართულება/საგანი/საგნობრივი ჯგუფი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის/საფეხურების მითითებით);

ი) პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია სასწავლო კურსის „პიროვნების განვითარების თეორიები“ მიზნები და სწავლის შედეგები ფოკუსირებული იყოს მოზარდის განვითარების თეორიებზე;

კ) შესაბამის სილაბუსებში ან პრაქტიკის ცალკე დოკუმენტში უნდა იყოს მოცემული პრაქტიკის გეგმა პრაქტიკის თითოეული ეტაპის დეტალური აღწერით;

ლ) კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდურობისთვის რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ კვლევებში სტუდენტების ჩართულობა ნებაყოფლობითი გახდეს;

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3² ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, შესაბამისად ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია ორი წლის ვადით.

საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ: დიმიტრი გეგენავა და ირმა წერეთელი.

მესამე საკითხი: შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N 424 09.12.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	კვალიფიკაციის კოდი	0613
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი დათუკიშვილმა განმარტება გააკეთა სარეკომენდაციო ნაწილზე და წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:

- დაკორექტირდეს სწავლის შედეგები და მიზნები კვალიფიკაციის შესაბამისად;
- დაემატოს NoSQL მონაცემთა ბაზებთან მუშაობის საკითხები შესაბამის კურსებს ან დაემატოს დამატებითი არჩევითი კურსი, რომელიც მოიცავს ამ საკითხებს;
- IT პროექტების მართვის საკითხები გაფართოვდეს პროგრამული პროდუქტების დეველოპმენტის პროექტების მართვის საკითხებით Agile სასიცოცხლო ციკლით;
- არჩევით საგნად დაემატოს გაძლიერებული დეველოპმენტი ვებისთვის Node JS, ReactJS და Angular ფრეიმვორკების გამოყენებით;
- საკვალიფიკაციო/საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში: შეფასებები
- გაურკვეველია რომელ პრეზენტაციას ეკუთვნის პირველს თუ მეორეს.
- შემუშავდეს აკადემიური პერსონალის წახალისების პოლიტიკა საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.
- გადაიხედოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურა და განხორციელდეს დანაკლისის შესყიდვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა ნინა კარბელაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ტერმინოლოგია მსოფლიოში არის სხვადასხვანაირი და შესაძლებელია კონკრეტული ჯგუფის მეცნიერები იყენებდნენ სხვადასხვა ტერმინოლოგიას. აღნიშნა ისიც, რომ შეჯერება მოახდინეს ერთ კონკრეტულზე, რაც არანაირ პრობლემას არ წარმოადნეს. სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთეს, რომ სავალდებულო კრედიტების რაოდენობა მოიცავს 165 კრედიტს, არჩევითი კრედიტების რაოდენობაა 63 კრედიტი და ასევე 12 თავისუფალი კრედიტი. დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაცია და დააზუსტეს თავისუფალი კრედიტების არჩევისა და კომბინაციის ფორმულირება .

მიზნებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩარჩოდან საიდაცან კვალიფიკაციის დასახელება გადმოიტანეს და ხელმძღვანელობენ ეს არის „პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დეველოპმენტი და დიზაინი“, აქედან გამომდინარე პროგრამაში ორივე კომბინაციაა ჩართული, რაც უზრუნველყოფს ბაზრის მოთხოვნებს, რაც არის, როგორც აპლიკაციები, ვებ-დიზაინი, ვებ-აპლიკაციები და ასევე პროგრამული უზრუნველყოფა ნებისმიერი პროდუქტი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტება გააკეთა ექსპერტთა მითითებაზე, სადაც აღნიშნული იყო თუ რატომ არ შეიძლება რომ საბაკალავრო ნაშრომი შესრულები იყოს მხოლოდ პროგრამული უზრუნველყოფით, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ დააზუსტა ფორმულირება და განმარტა, რომ ფორმალურ უზრუნველყოფასთან ერთად ასევე, მითითებული იყო აპლიკაციები ან/და ორივე ერთად, რაც ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, მიზნებში მოხდა სიტყვების

გადანაცვლება და გაიწერა „მულტიმედია“, რაც გულისხმობს აპლიკაციების დაპროექტებას. შესაბამისად შედეგებშიც გაიწერა სიტყვა „მულტიმედია“. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცეულ რეკომენდაციას გათვალისწინება და დაკონკრეტება რადიკალური ცვლილებების განხორციელებას არ საჭიროებდა.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საგნების დამატებას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში განახორციელებდნენ საგნების დამატებას, მათ არჩევით საგნებში უკვე განახორციელებს საგნების დამატება და შესაბამისად აღნიშნულ რეკომენდაციას ეთანხმებოდნენ.

მათი განცხადებით ნაშრომის სილაბუსში გაუგებარი იყო, რომელ პრეზენტაციას ეკუთვნოდა აღნიშნული, დაწესებულებამ განაცხადა რომ „პირველი/მეორე შეფასების კრიტერიუმი“ აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით განახორციელებს სილაბუსში ცვლილება და ჩამოაყალიბებს შემდეგი ფორმულირებით „პირველი და მეორე შეფასების კრიტერიუმი“.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა აკადემიური პერსონალის წახალისების ღონისძიებს, დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე კვ მემორანდუმი არსებობს, სადაც როგორც სტუდენტს, ასევე პერსონალს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამაში, ასევე მათი განცხადებით უნივერსიტეტში შემოუშავებულია სამუშაო აღწერილობები და აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა, სადაც გათვალისწინებულია ბონუსების სისტემა, თუ მაღალ ქულას მოაგროვებს პერსონალი მიეცემა წელიწადში მიღებული ანაზღაურების 20% ან მეორე ადგილზე მყოფს 10%. აღნიშნული სისტემა მოქმედებს გაზაფხულიდან და ამ ეტაპზე იგი გაუმჯობესებულია. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საერთაშორისო კავშირებთან არსებული გეოგრაფიული არეალი გაფართოვდა და ამჟამად ძირითადი ყურადღება ევროპაზეა გადატანილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, გარდა მატერიულური სახელმძღვანელობის ყველა მოთხოვნილი სახელმძღვანელო არსებობს ელექტონული სახით და განმარტება გააკეთა ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, სადაც დაწესებულებას აქვს ყველა საჭირო ლიტერატურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ კითხვით მიმართა ექსპერტა ჯგუფის თავმჯდომარეს, თუ რამდენად ეთანხმებოდა დაწესებულების მიერ შესრულებულ ერთ-ერთ რეკომენდაციას, სადაც აპლიკაციების დაპროგრამებასთან დაკავშირებით მათ მიერ განხორციელდა „მულტიმედიის“ დამატება.

ექსპერტმა განმარტა, რომ საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც მოითხოვდა მულტიმედია პროდუქტსაც და მათ შორის პროგრამულ პროდუქტსაც ერთობლივად უნდა ყოფილიყო მკაფიოდ გაწერილი. სათაური ინფორმატიკა არ მოიცავდა მათი თქმით მულტიმედია პროდუქტის შექმნას, საგნების ერთობლიობა სტუდენტს არ უნდა აიძულებდეს მულტიმედიის ნაწილის სავალდებულო სწავლას.

საბჭოს წევრმა, რომეო გალდავამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, იმის შესახებ თუ რითი იყო განპირობებული დაპროგრამების საფუძვლების ალგორითმის დაწყება პითონის მეთოდით და არა C++-ით?

დაწესებულების წარმომადგენლის, ბესო ტაბატაძის განმარტებით საწყის ეტაპებზე 2011-2012 წლებში იყენებდნენ აღნიშნულ პროგრამულ ენას, აღნიშნა ისიც, რომ იმ პერიოდისთვის ეს ენა საკმაოდ პოპულარული იყო, თუმცა ბოლო პერიოდში, ტენდენციების გათვალისწინებით წინა პლანზე წამოვიდა მარტივად გასაგები პროგრამა - პითონი. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დაწესებულებამ დაასახელა დამსაქმებელთა მოთხოვნა. ასევე აღნიშნეს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც 90-95% შეადგენს და აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილეს არჩევითი საგნების მნიშვნელობაზე, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს ცოდნა გაიდრმოს სასურველი მიმართულებით, რომელიც შემდეგ დასაქმებისთვის ესაჭიროება.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, მისი თქმით დასკვნაში 1.1 და 1.2 ქვესტანდარტებთან მიმართებით აღნიშნულია, რომ სწავლის შედეგები ნაწილობრივ ჩამოყალიბებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, საჭიროა მიზნების და შედეგების კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანა, საბჭოს წევრი დაინტერესდა სტრუქტურასთან დაკავშირებით, პროგრამა მოიცავს თუ არა იმ რაოდენობის კრედიტებს, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიკაციაზე გასვლას?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამა გავიდოდა კალიფიკაციაზე, თუმცა მისი თქმით არჩევით მოდულებში არის საგნები, რომელიც არის მულტიმედიის მიმართულებით, მაგრამ თუ მულტიმედიის საგნებს არ აირჩევს სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას ვერ შეძლებს, ფაქტობრივად აღნიშნული დისციპლინა არჩევითია, მაგრამ ხელოვნური გზით სავალდებულო საგანად არის შეთავაზებული. საბოლოო დასკვნით, ექსპერტთა ჯგუფმა გააკეთა განცხადება, რომ საბაკალავრო ნაშრომში არ უნდა იყოს სავალდებულოდ მულტიმედიის მიმართულების ნაწილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:32

დასრულების დრო: 17:36

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლით ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით, აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება:

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე-4 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- ა) დაკორექტირდეს სწავლის შედეგები და მიზნები კვალიფიკაციის შესაბამისად
- ბ) დაემატოს NoSql მონაცემთა ბაზებთან მუშაობის საკითხები შესაბამის კურსებს ან დაემატოს დამატებითი არჩევითი კურსი, რომელიც მოიცავს ამ საკითხებს;
- გ) IT პროექტების მართვის საკითხები გაფართოვდეს პროგრამული პროდუქტების დეველოპმენტის პროექტების მართვის საკითხებით Agile სასიცოცხლო ციკლით;
- დ) არჩევით საგნად დაემატოს გაძლიერებული დეველოპმენტი ვებისთვის Node JS, ReactJS და Angular ფრეიმვორკების გამოყენებით;
- ე) საკვალიფიკაციო/საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში: შეფასებები:

- 5-4 ქულა-ამოცანის გადაწყვეტა ზუსტი და ამომწურავია.
- 3ქულა-ამოცანის გადაწყვეტა არსებითად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ შეიცავს უზუსტობებს, სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები.
- 2 ქულა-ამოცანის გადაწყვეტა არასრულია; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. არასრულად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას;

- 1 ქულა-ამოცანის გადაწყვეტაში აღინიშნება არსებითი შეცდომები. მინიმალურად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას;
- 0 ქულა-ნაშრომი ამოცანის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული

ვ) გაურკვეველია რომელ პრეზენტაციას ეკუთვნის პირველს თუ მეორეს.

ზ) შემუშავდეს აკადემიური პერსონალის წახალისების პოლიტიკა საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

რჩევები:

- ა) გადაიხედოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურა და განხორციელდეს დანაკლისის შესყიდვა;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამის კურსებში გაიზარდოს პროგრამული პროექტების მართვის საკითხების წილი ან დაემატოს ცალკე საგნად;
- გ) დაემატოს რიცხვითი მეთოდების საკითხები შესაბამის სილაბუსებს ან პროგრამას დაემატოს ახალ არჩევით საგნად;
- დ) სასურველია პროგრამას დაემატოს UX დიზაინის კურსი;
- ე) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება პრიორიტეტულად უნდა მოხდეს პარტნიორ დაწესებულებაში
- ვ) სწავლის მეთოდები, როგორცაა ჯგუფური პროექტები და ქეისების შესწავლა გაიწეროს იმ სილაბუსებში სადაც რეალურად ხორციელდება;
- ზ) საბაკალავრო პროექტზე და სხვადასხვა კურსების დავალებებზე ჯგუფური მუშაობა შეფასებული იყოს თვით სტუდენტების მიერ და ეს გათვალისწინებული იყოს საბოლოო შეფასებაში;
- თ) უსდ-ს მიერ აქცენტი გაკეთდეს აკადემიური პერსონალის წახალისებაზე, რომ მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდეს საერთაშორისო რეპუტაციულ ჟურნალებში.

გადაწყვეტილება:

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარემ დიმიტრი გეგენავამ.

მეოთხე საკითხი: შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციისაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N 788 13.12.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება
12	კვალიფიკაციის კოდი	0612
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზ. N25, თბილისი, 0179, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - თამარ ტუფინაშვილმა

საფუძველი - დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტის ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია პირველ სტანდარტთან, მაგრამ სტანდარტის 1.1 ქვეპუნქტთან არის გარკვეული შენიშვნები. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ თუმცა, არის ჭარბი დეტალიზება. ცოდნა და გაცნობიერება წარმოდგენილია ერთი მთლიანი პუნქტის სახით, ხოლო უნარების კი ათი სხვადასხვა პუნქტის სახით, მათი მოსაზრებით, ეს ათი სხვადასხვა პუნქტი უშუალოდ თითო- თითო საგნის შედეგებზე უფრო გადის ვიდრე ერთიან შედეგზე.

ექსპერტთა მოსაზრებით, შედეგების რუკაში პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი ფარავდა თითქმის ყველა შედეგს. დანარჩენ სტანდარტებთან მიმართებით აღნიშნა, რომ პროგრამა სრულ შესაბამისობაშია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წარუდგინა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები:

- შედეგების ზოგადი, მაგრამ ცხადი აღწერისათვის მოხდეს ცოდნა და გაცნობიერება პირველი შედეგის ორ-სამ შედეგად დაყოფა (ცოდნის სფეროების შესაბამისად), ხოლო უნარების შესაბამისი შედეგები დაჯგუფდეს და აღიწეროს შედარებით ნაკლები რაოდენობის შედეგის სახით.
- დეტალურად აღიწეროს პირთა პროგრამაზე დაშვების პირობები საგანთა და ქულობრივ ზღვართა მითითებით;
- დეტალურად გაიწეროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების პროცედურა.
- გამომდინარე დარგის სპეციფიკიდან საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში (ან/და სხვა რომელიმე დამატებით დებულებაში) ცხადი სახით გაიწეროს პრაქტიკული კომპონენტისადმი წაყენებული მოთხოვნები და მისი შეფასების კრიტერიუმები.
- გამომდინარე სასწავლო პროგრამის სპეციფიკიდან სასურველია დეტალურად იყოს გაწერილი ის პროცედურები, რომლებიც ამ დებულებებში საერთო სახითაა წარმოდგენილი (შეფასების პერიოდულობა, დადებითი ან/და უარყოფითი შეფასების შემთხვევაში ქმედებების განხორციელების ვადები და პროცედურები და ა.შ.)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შედეგები უნდა იყოს გაზომვადი და მიზნებთან შესაბამისი. საგანმანათლებლო პროგრამა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის, აქედან გამომდინარე შედეგების შეფასების პროცესი რომ გაადვილებულიყო და კარგად აღსაქმელი ყოფილიყო არა მარტო დარგის სპეციალისტებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვის, დაწესებულებამ გადაწყვიტა უნარები სფეროების შესაბამისად ჩამოეყალიბებინათ.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგობრივი მახასიათებელი მუშავდება და რამდენიმე თვეში დამტკიცდება. შესაბამისად, აუცილებელი გახდება ამ კუთხით პროგრამის მოდიფიცირება, დეტალურად აღიწეროს პროგრამაზე პირთა დაშვების პირობები საგანთა და ქულობრივ ზღვართა მითითებით. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა

განმარტა, რომ პროგრამაში გაწერილია დაშვების წინაპირობები, კერძოდ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. პროგრამაში მითითებულია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღებასთან დაკავშირებით, რომლებიც ირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი. დამატებით წინაპირობებთან დაკავშირებით დაწესებულის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ქულობრივი ზღვარი არ აქვს არცერთი პროგრამის მიმართ.

შემდეგი რეკომენდაციის გათვალისწინებით, გამომდინარე დარგის სპეციფიკიდან საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსებში ცხადი სახით გაიწეროს პრაქტიკული კომპონენტისადმი წაყენებული მოთხოვნები და მისი შეფასების კრიტერიუმები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე მიზნებშიც არის გაწერილი, რომ საბაკალავრო ნაშრომი სრულდება ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით და წარმოადგენს თეორიულ და პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს. შეფასების კრიტერიუმებში გაწერილია, რომ „სამუშაოს პრაქტიკული გადაწყვეტა“ ფასდება 10 ქულით. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა აღნიშნული შეფასების დეტალურად გაწერის შესახებ.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა, რომ დეტალურად გაიწეროს დაწესებულების მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიღების პროცედურა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი არ განსაზღვრავს დამატებით მოთხოვნებს არ თვლის დაწესებულება საჭიროდ „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების პროცედურის დეტალურად ასახვას.

რაც შეეხება მეხუთე რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც სასურველია დეტალურად იყოს გაწერილი ის პროცედურები, რომლებიც ამ დებულებებში საერთო სახითაა წარმოდგენილი, დაწესებულების წარმომადგენლის თამარ ტუფინაშვილის განმარტებით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, სადაც განსაზღვრულია შეფასების პერიოდულობა, შეფასების კომპონენტები, შეფასების შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენების გზები და სხვა. კურსდამთავრებულების არსებობის შემთხვევაში დაწესებულების განცხადებით მოხდება პროგრამის სწავლის შედეგების ყოველწლიური შეფასება, როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი გზით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:55

დასრულების დრო: 18:06

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება:

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

ა) შედეგების ზოგადი, მაგრამ ცხადი აღწერისათვის მოხდეს ცოდნა და გაცნობიერება პირველი შედეგის ორ-სამ შედეგად დაყოფა (ცოდნის სფეროების შესაბამისად), ხოლო უნარების შესაბამისი შედეგები დაჯგუფდეს და აღიწეროს შედარებით ნაკლები რაოდენობის შედეგის სახით.

ბ) გამომდინარე დარგის სპეციფიკიდან საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში (ან/და სხვა რომელიმე დამატებით დებულებაში) ცხადი სახით გაიწეროს პრაქტიკული კომპონენტისადმი წაყენებული მოთხოვნები და მისი შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ა) მიზნების მეორე პუნქტი ჩამოაყალიბდეს უფრო დეტალიზირების გარეშე, ასე მაგალითად: განუვითაროს სტუდენტებს კრიტიკული, ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება, რათა წარმატებით შეძლონ მონაწილეობის მიღება ტექნოლოგიების სხვადასხვა არეების შესაბამისი პროექტების შექმნა - განვითარება - დანერგვაში.

ბ) გაიზარდოს მოწვეულ პედაგოგთა ჩართულობა პროგრამის შეფასება - განვითარების პროცესში.

გ) სასურველია ჩატარდეს გარე შეფასება დამსაქმებელთა მონაწილეობით კურსდამთავრებულთა დასაქმების შემდგომ.

დ) გამომდინარე სასწავლო პროგრამის სპეციფიკიდან სასურველია დეტალურად იყოს გაწერილი ის პროცედურები, რომლებიც ამ დებულებებში საერთო სახითაა წარმოდგენილი (შეფასების პერიოდულობა, დადებითი ან/და უარყოფითი შეფასების შემთხვევაში ქმედებების განხორციელების ვადები და პროცედურები და ა.შ.)

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეხუთე საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ნიკოლოზ კიკნაძემ და გურანდა ჭელიძემ
საფუძველი - დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თინათინ კილურაძის განცხადებით, კავკასიის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა დისტანციურ ფორმატში 2020 წლის 25 ნოემბერს. ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა ორი წევრისგან. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დაწესებულების ყველა რგოლს. ექსპერტის მოსარებით დაწესებულების ძლიერი მხარე გამოიკვეთა ხარისხის სამსახურის მიმართულებით, ასევე აღნიშნეს რომ დაწესებულება თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზეა მორგებულ. მარკეტინგის სამსახურში მუშაობს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელმაც პროგრამის შექმნამდე ჩაატარა ბაზრის კვლევა და საკმაოდ კარგად იცნობენ კონტიგენტს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში მზაობას გამოთქვამს სომხურ ენოვანი კადრის აყვანაზე, მზად არიან სტუდენტებისათვის ყველა საჭირო ინფორმაცია თარგმნონ შესაბამის ენებზე. დაწესებულება ყოველ სემესტრულად ატარებს ინდივიდუალურ გამოკითხვებს და გეგმავს ქართველი ტუტორების ჩართვას პროგრამის განხორციელებაში, რაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს გაუადვილებს ინტეგრაციასა და სწავლას. პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტს, ისევე როგორც დარგობრივ მახასიათებელს, შესაბამისად ექსპერტებს რეკომენდაციები არ აქვთ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, მათ არ აქვთ რეკომენდაციები, თუმცა დასკვნაში მოცეულია რჩევები პროგრამის განვითარებისათვის და აღნიშნა, რომ სასურველი იქნება თუ პირველი და მეორე სტანდარტი გაუმჯობესდება და შესაბამისობაში მოვა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის დოკუმენტთან, ეს არ არის სავალდებულო ხასიათის, თუმცა პროგრამის განვითარებისათვის სასურველი იქნება, რადგან აღნიშნულ დოკუმენტში ნათლად და მკაფიოდ არის გაწერილი მისაღწევი მიზნები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და ექსპერტთა ჯგუფს. ყურადღება გაამახვილა დარგობრივ მახასიათებელზე და აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებული იქნებოდა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები. მეტად დაიხვეწება არსებული სილაბუსები, რაც შემდგომ შედეგებშიც აისახება.

კითხვა დასვა საბჭოს წევრებმა ნინო დობორჯგინიძემ, იგი დაინტერესდა საგნობრივ ბადესთან დაკავშირებით, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ ასეთი ფართო საგნობრივი ბადის გაკეთება?

პროგრამის ხელმძღვანელმა, მარიამ მანჯგალაძემ განმარტა რომ პროგრამაში გათვალისწინებულია თითოეული კომპონენტი და პროგრამის პრაქტიკაში განხორციელების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში განახორციელებდნენ შესაბამის ცვლილებებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:34

დასრულების დრო: 18:36

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

გადაწყვეტილება


„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:36 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა

